

„გამტკიცებ“

საქართველოს მართლმსაჯულების ეროვნული
ფედერაცია



დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სალიცენზიო შეჯიბრება სარეიტინგო ტურნირებისთვის 2010-2011
წლებში დაბადებულთა შორის

2024 წელი
1-2 ივნისი
თბილისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ძიუდოსტთა შერჩევა 2010-2011 წლებში დაბადებულითა სარეიტინგო ტურნირებისთვის;

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2010-2011 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოსტები აღმოსავლეთ საქართველოდან, რომელთაც არ მოუპოვებიათ სარეიტინგო ტურნირებში მონაწილეობის ლიცენზია. შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია წინასწარი გამოცდების ჩაბარება ძიუდოს საწყისებში. გამოცდაჩაუბარებელი ძიუდოსტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.
- სალიცენზიო შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია საწევრო გადასახადის 100 (ასი) ლარის ჩარიცხვა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საბანკო ანგარიშზე. რის შემდეგაც ძიუდოსტს უფლება ექნება მონაწილეობა მიიღოს ძიუდოს ფედერაციის მიერ წლის განმავლობაში ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში (შეჯიბრება, სემინარი, შეკრება, გამოცდა და სხვ.). დამატებითი ინფორმაცია დოკუმენტაციის სახით შეგიძლიათ იხილოთ დანართში.
- დებულება საწევროს შესახებ
საწევროს სარეგისტრაციო ფორმა
საბანკო ანგარიში - საქართველოს ბანკი.
მიმღების დასახელება - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია.
ბანკის კოდი - **BAGAGE22**
მიმღების ანგარიშის ნომერი - **GE55BG000000121179301**

IV. შეჯიბრების კენჭისყრა, ადგილი, დრო და რეგისტრაცია

- შეჯიბრება ჩატარდება 1-2 ივნისს თბილისში ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონების შემდეგ
- ჩამოსვლის დღე ტურნირზე – 31 მაისი, წასვლის დღე – 3 ივნისი.
შეჯიბრების დასაწყისი: თბილისი - **10:00*** (შესაძლებელია ცვლილება).

რეგისტრაცია:

- ძიუდოსტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან (<http://gif.ge/geo/calendar/georgia>) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. კოდი - 1234
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც 2024 წლის 28 მაისამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- 29 მაისს ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებული არიან გადაამოწონ საკუთარი ძიუდოსტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შესვენების ხანგრძლივობა 3 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე.
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;

- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 10 წონით კატეგორიაში:
- -34კგ, -38კგ, -42კგ, -46კგ, 50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, +73კგ;
- 1 იენისი: -34კგ, -38კგ, -42კგ, -46კგ, 50კგ,
- 2 იენისი: -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, +73კგ;
- **P.S. რეგისტრაციის შემდეგ შესაძლებელია შეიცვალოს წონით კატეგორიებში შეჯიბრების ჩატარების დღეები.**

VI. აწონვა

თბილისი, ძიუდოს აკადემია. ბელიაშვილის 38.

აწონვები ჩატარდება წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების წინა დღეს.

- 31 მაისი: -34კგ, -38კგ, -42კგ, -46კგ, 50კგ,
 - 1 იენისი: -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, +73კგ;
- არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათამდე;
ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

VII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევია, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

საკონტაქტო პირი – 577994407 ზურაბ უსუფაშვილი.

ფინანსური საკითხები: 577994420 ინგა რაზმაძე, 558132632 ქეთი მიხელიძე.

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- **ძიუდოსტებისთვის შეჯიბრებაზე აუცილებელია თეთრი და ლურჯი ფერის კიმონოს ქონა.**
- **აკრძალულია ძიუდოსტებისთვის წონის კლება წონით კატეგორიაში მოსახვედრად.** ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მკაცრად იქნება გაკონტროლებული მონაწილეთა წონები და შესაძლებელია კონტროლი შეჯიბრების მიმდინარეობის დროსაც. იმ მწვრთნელთა მიმართ, რომელთა ძიუდოსტებიც დაარღვევენ წონის კლების დებულებას, ფედერაცია გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ფედერაციის პრეზიდენტი



გიორგი ათაბეგაშვილი